საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული საagენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 36-9 17/03/2021

საგანგებო ზომების მიღების შესახებ

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 51-ე მუხლის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. იმპორტირებულ წითელ წიწაკაში (დამსხვრეული ან დაფქული; სეს ესნ კოდი: 09041200000, 09042200000) სუდანის ჯგუფის არასასურსათო საღებავების დიდი რაოდენობის აღმოჩენის გამო, რაც სერიოზულ რისკს წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისთვის და არსებული საშუალებებებით და რესურსებით ვერ ხერხდება მისი თავიდან აცილება, წითელი წიწაკის იმპორტის მიმართ განისაზღვროს შემდეგი სპეციალური მოთხოვნები:

ა) წითელი წიწაკის (დამსხვრეული ან დაფქული; სეს ესნ კოდი: 09041200000, 09042200000) თითოეულ პარტიას, იმპორტის დროს (გარდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან, ევროპის ეკონომიკური ზონის ქვეყნებიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კანადიდან, ავსტრალიიდან, ახალი ზელანდიიდან, შვეიცარიიდან და ისრაელიდან იმპორტისას) თან უნდა ახლდეს შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიის გამოცდის ოქმი, სუდანის ჯგუფის საღებავების შემცველობაზე უარყოფითი შედეგით;

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge

ბ) იმ შემთხვევაში, თუ საქონელს არ ახლავს ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტი, ტვირთის მფლობელთან შეთანხმებით საქონელი დაექვემდებაროს:

ბ.ა) ექსპორტიორ ქვეყანაში დაბრუნებას ან განადგურებას;

ან

ბ.ბ) საბაჟო კონტროლის ზონაში, შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი სპეციალისტის მიერ, ნიმუშების აღებას, შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიაში, საქონლის მფლობელის ხარჯით, სუდანის ჯგუფის საღებავების შემცველობაზე გამოსაკვლევად (ლაბორატორიული კვლევის დადებითი შედეგის შემთხვევაში, განხორციელდეს ამ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ღონისძიებები).

2. დაევალოს:

ა) სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტს, სსიპ შემოსავლების სამსახურის ინფორმირება აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ;

ბ) სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, შესაბამისი ინფორმაციის სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), ამ ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი